ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

➢ *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება # 1-20*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. გეოგრაფიის რომელი დარგი შეისწავლის ფოტოზე გამოსახულ ჰიდროლოგიურ ობიექტს?

ა. სპელეოლოგია

ბ. ლიმნოლოგია

გ. გლაციოლოგია

დ. მეტეოროლოგია

2. რომელი ბუნებრივი ზონის გავრცელების არეალია მოცემული რუკაზე?



ა. სტეპის

ბ. უდაბნოს

გ. სელვას

დ. სავანის

3. ყველაზე მეტად რომელი ტყე გამოირჩევა მცენარეთა სახეობების მრავალრიცხოვნობითა და მრავალიარუსიანობით?

ა. ხეშეშფოთლოვანი

ბ. წიწვოვანი

გ. ნოტიო ეკვატორული

დ. შერეული

4. ილუსტრაციაზე ნაჩვენებია შემოდგომის ბუნიობისას, დღის განმავლობაში ცის თაღზე მზის მოძრაობის ტრაექტორია. დააკვირდით და განსაზღვრეთ, რომელი ადგილია მოცემული სქემაზე?



ა. ჩრდილოეთი პოლუსი

ბ. ჩრდილოეთი პოლარული წრე

გ. ეკვატორი

დ. სამხრეთი ტროპიკი

5. მოცემული დიაგრამიდან გამომდინარე განსაზღვრეთ, რომელია მართებული ინფორმაცია?



ა. 28 აპრილის, 16-18 სთ-ის პერიოდში, დაფიქსირდა თავსხმა წვიმა

ბ. 29 აპრილის ჰაერის ტემპერატურული ამპლიტუდა იყო 8^0C

გ. 29 აპრილს, 10-16 სთ-ის პერიოდში, აღინიშნა ცვალებადი მოღრუბლულობა

დ. 30 აპრილს, 8-12 სთ-ის პერიოდში, ძლიერი ქარი დაფიქსირდა

6. რომელი სახელმწიფოს სანაპირო ზოლია მოცემული ილუსტრაციებზე?



ა. საფრანგეთის
ბ. ნორვეგიის
გ. გერმანიის
დ. საბერძნეთის

7. დაახლოებით რამდენი კილომეტრის ფარგლებში მერყეობს დედამიწის ოკეანური ქერქის სისქე?

ა. 5-10

ბ. 30-40

გ. 55-70

დ. 80-100

8. რომელია მსოფლიოში სარკის ფართობით ყველაზე დიდი მტკნარი ტბა?

ა. ზემო

ბ. ბაიკალი

გ. კასპიის

დ. ტიტიკაკა

9. რომელი მსუბუქი ფოროვანი ქანი წარმოიქმნება მინერალური წყაროებიდან კალციუმის კარბონატის დალექვის შედეგად?

ა. ტრავერტინი

ბ. ბაზალტი

გ. ანდეზიტი

დ. გრანიტი

10. რომელ სახელმწიფოში შეიძლება იყოს გადაღებული მოცემული ფოტოები?

ა. ესპანეთში ან პორტუგალიაში

ბ. იორდანიაში ან ისრაელში

გ. ინდოეთში ან პაკისტანში

დ. ირანში ან თურქეთში

11. მსოფლიოს ერთიან ეკონომიკურ ერთეულად განხილვის შემთხვევაში, რომელი დიაგრამა იქნება მსოფლიოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესაბამისი?

ა.



ბ.



გ.



დ.



12. რუკაზე ნაჩვენებია ალკოჰოლური სასმელების მოხმარება ქვეყნების მიხედვით (წელიწადი/ლიტრი ერთ ადამიანზე). ჩამოთვლილთაგან რა მიზეზი განაპირობებს გარკვეულ ქვეყნებში ალკოჰოლის მინიმალურ მოხმარებას (<2.1)?



ა. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ბ. კლიმატური პირობები

გ. ხარისხიანი ალკოჰოლის დეფიციტი

დ. რელიგიური ფაქტორი

13. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა სუეცის არხი?

ა. სირიის

ბ. ისრაელის

გ. ეგვიპტის

დ. იორდანიის

14. რომელი ქვეყანა დაიყო ყველაზე მეტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ XX ს-ის მეორე ნახევარში?

ა. ჩეხოსლოვაკია

ბ. სსრკ

გ. გერმანია

დ. იუგოსლავია

15. რომელ სახელმწიფოშია წარმოებული ფოტოზე გამოსახული ღვინო?

ა. იტალიაში

ბ. ესპანეთში

გ. პორტუგალიაში

დ. საფრანგეთში

16. რა ითვლება აეს-ების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ძირითად ეკოლოგიურ პრობლემად?

ა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვა

ბ. საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურება

გ. ბგერითი და ელექტრომაგნიტური დაბინძურება

დ. რადიაქტიური ნარჩენების გაუვნებელყოფა

17. რომელი რეგიონი მოიხმარს ყველაზე დიდი რაოდენობით ნავთობს?

ა. ახლო აღმოსავლეთი

ბ. ლათინური ამერიკა

გ. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია

დ. დასავლეთი ევროპა

18. ბრაზილიის რომელი ქალაქი წარმოადგენს ატლანტის ოკეანის საპორტო ქალაქს, მიუხედავად იმისა, რომ ოკეანის სანაპიროდან დაახლოებით 1500 კილომეტრითაა დაშორებული?

ა. ბრაზილია

ბ. მანაუსი

გ. სან-პაულო

დ. რიო-დე-ჟანეირო

19. რის მიხედვით არის დაჯგუფებული სახელმწიფოები რუკაზე?



ა. მოსახლეობის სიმჭიდროვის
ბ. მშპ-ს მოცულობის
გ. მოსახლეობის რაოდენობის
დ. გლობალიზაციის (KOF) ინდექსის

20. რა პირობას აკმაყოფილებს ნეიტრალური სტატუსის მქონე სახელმწიფო?

ა. არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში, მაგრამ შესაძლებელია იყოს სამხედრო ბლოკის წევრი

ბ. არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში და არ არის არც ერთი სამხედრო ბლოკის წევრი

გ. არ არის არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი

დ. შესაძლოა მონაწილეობდეს საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტში, მაგრამ არ არის არც ერთი სამხედრო ბლოკის წევრი

- *შესაბამისობის დადგენა - დავალება # 21-27*

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	დაცული ტერიტორია		სახელმწიფო
ა	იელოუსტოუნის	1	აშშ
ბ	ზანგეზურის	2	სომხეთი
გ	დილიჟანის	3	რუსეთი
დ	ბაიკალისპირეთის	4	აზერბაიჯანი
ე	ზაქათალის		
ვ	მამონტის მღვიმის		

22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *<u>არ არის</u>* შესაძლებელი):

	კონტინენტი		უმაღლესი წერტილი
ა	ჩრდილოეთი ამერიკა	1	მ. მაუნა-ლოა
ბ	სამხრეთი ამერიკა	2	მ. დენალი
გ	ავსტრალია	3	მ. კილიმანჯარო
დ	ანტარქტიდა	4	მ. აკონკაგუა
		5	მ. კოსტიუშკო
		6	მ. თხაულაგირი
		7	ვინსონის მასივი
		8	მ. ერებუსი

23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	კლიმატური სარტყლის აღწერა		კლიმატური სარტყელი
ა	მკვეთრად არის გამოხატული ოთხივე სეზონი	1	ეკვატორული
ბ	დამახასიათებელია ხშირი წვიმები; არ გააჩნია მშრალი სეზონი	2	ზომიერი
გ	ჰავა ცივია; ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა 5-დან 10°C-მდეა	3	სუბარქტიკული
დ	დამახასიათებელია კონტინენტებზე უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს ლანდშაფტი, ხოლო ოკეანეში — წყლის მაღალი ტემპერატურა და მარილიანობა; ტიპურია ჰაერის ანტიციკლონური ცირკულაცია, დაბალი შეფარდებითი ტენიანობა, მცირე მოღრუბლულობა	4	ტროპიკული
ე	ყოველი დღის ამინდი ერთმანეთის მსგავსია; ჰაერის საშუალო ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა მცირეა		
ვ	თოვლის საფარი 8 თვეზე მეტხანს ნარჩუნდება; ტერიტორიის ძირითად ნაწილზე გავრცელებულია მარადი მზრალობა		

24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *<u>არ არის</u>* შესაძლებელი):

ფოტო		
		

კონტინენტი						
1	2	3	4	5	6	7
აფრიკა	აზია	ავსტრალია	ანტარქტიდა	ევროპა	ჩრდილოეთი ამერიკა	სამხრეთი ამერიკა

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *<u>არ არის</u>* შესაძლებელი):

გავრცელების არეალი



სასოფლო-სამეურნეო კულტურა

1	2	3	4	5
ხორბალი	ბამბა	ბრინჯი	სიმინდი	შაქრის ჭარხალი

26. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

ფოტო		
		

მეცნიერების დარგი				
1	2	3	4	5
განათლების გეოგრაფია	სეისმოლოგია	ოკეანოლოგია	სპელეოლოგია	ხმელეთის ჰიდროლოგია

27. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *<u>არ არის</u>* შესაძლებელი):

ვალუტა

სახელმწიფო

1	2	3	4	5	6	7	8
ჩინეთი	ირლანდია	ყაზახეთი	სომხეთი	თურქმენეთი	აზერბაიჯანი	იაპონია	გაერთიანებული სამეფო

➢ *ინფორმაციის ანალიზი - დავალება # 28-31*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

28. (2) გააანალიზეთ ილუსტრაციები და განსაზღვრეთ:

(ა) რომელი სახელმწიფოებია გაერთიანებული სკანდინავიის ავიახაზებში?

(ბ) რატომ არის კომპანიის ლოგოს დიზაინში გამოყენებული ეს ფერები?

29. (3) ფოტოზე გამოსახული ჩანჩქერი ზამბიისა და ზიმბაბვეს საზღვარზე მდებარეობს. განსაზღვრეთ:

(ა) რომელი ჩანჩქერია გამოსახული ფოტოზე და რომელ მდინარეზე მდებარეობს იგი?

(ბ) რომელმა ევროპელმა მკვლევარმა აღწერა პირველად ეს ჩანჩქერი?

30. (3) გააანალიზეთ ილუსტრაციები და განსაზღვრეთ:

(ა) რა პრობლემას ასახავს მოცემული ილუსტაციები?

(ბ) ილუსტაციებიდან გამომდინარე, რა არის ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი?

(გ) იმსჯელეთ, ერთ კონკრეტულ საფრთხეზე, რომელიც ევროპის კავშირის სახელმწიფოებისთვის ამ პრობლემის გამო წარმოიქმნა.



31. (9) გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:





დედამიწა წარმოსახვითი ხაზებით ჩრდილოეთ, სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებადაა დაყოფილი. წარმოსახვითი ხაზი, რომლის 78,7% წყალზე, ხოლო დანარჩენი 21,3% ხმელეთზე გადის, დედამიწის ბრუნვის ღერძის პერპენდიკულარულია და პოლუსებიდან თანაბარი მანძილითაა დაშორებული. მისი სახელწოდება გამათანაბრებელს ნიშნავს. ეს ხაზი 14 სახელმწიფოზე გადის. ყველაზე მაღალი წერტილი, რომელზეც ეს ხაზი გაივლის არის ვულკან კაიამბეს ფერდობი (4690 მ).

გადასვლა: ტექსტის მეორე გვერდზე; კითხვებზე

მეორე წარმოსახვითი ხაზის სახელწოდება საშუადღეოს ნიშნავს. მას პირველისგან განსხვავებით ფიზიკური არსი არ გააჩნია. სხვადასხვა დროს ცალკეულ ქვეყნებს განსხვავებული საწყისი მერიდიანი ქონდათ. დღეს აღიარებული საწყისი მერიდიანი 1884 წელს საერთაშორისო მერიდიანულ კონფერენციაზე მიიღეს.

XIX ს-ის 80-იან წლებამდე ყველა ქვეყანა ლოკალურ დროს მზის საათის მიხედვით განსაზღვრავდა. ასეთი საათები დიდი ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე იყო დამონტაჟებული. ყველა სარკინიგზო კომპანიის დრო იმ ქალაქის დროს ემთხვეოდა, რომელშიც მისი ოფისი იყო განთავსებული. ამიტომ, დიდ სადგურებში, იმდენი საათი იყო დამონტაჟებული, რამდენ კომპანიასაც ემსახურებოდნენ ისინი და ყველა სხვადასხვა დროს უჩვენებდა. XIX ს-ის ბოლოს, ქ. ვაშინგტონში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც, ხანგრძლივი კამათის შემდეგ შეთანხმდნენ იმ მერიდიანზე, რომლიდანაც უნდა დაწყებულიყო დროის ათვლა. დედამიწის ზედაპირი პირობითად დაიყო სასაათო ზონებად. ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე სასაათო ზონის ცნება აზრს კარგავს. იქ პოლუსების დრო გათანაბრებულია მსოფლიო დროსთან.

მსოფლიო კოორდინირებულ დროს ატომური საათის დახმარებით ანგარიშობენ, რაც უფრო ზუსტია, ვიდრე დედამიწის ზედაპირის გარკვეულ წერტილში მზის მდებარეობის მიხედვით გამოთვლილი დრო. სხვადასხვა მიზეზების გამო, პერიოდულად აუცილებელია დროის კორექტირება.

გადასვლა: ტექსტის პირველ გვერდზე; კითხვებზე

31.1. რომელ სახელმწიფოზე *<u>არ გაივლის</u>* ტექსტში ნახსენები გამათანაბრებელი ხაზი?

ა. ბრაზილიაზე ბ. კენიაზე გ. ინდონეზიაზე დ. სინგაპურზე

31.2. (2) რა ეწოდება ტექსტში აღწერილ გამათანაბრებელ ხაზს და რა ეწოდება საწყის (ნულოვან) მერიდიანს?

31.3. რომელ სახელმწიფოში მდებარეობს გამათანაბრებელი ხაზის უმაღლესი წერტილი?

31.4. გეოგრაფიული გრძედის ათვლის გარდა, კიდევ რისი ათვლა ხდება ნულოვანი მერიდიანიდან?

31.5. რატომ კარგავს სასაათო ზონის ცნება აზრს ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე?

31.6. (2) მიღებულია, რომ ერთი სასაათო ზონა პარალელის 15^0-იან რკალს შეესაბამება. ამის გათვალისწინებით ახსენით:

ა) რამდენი სასაათო ზონა უნდა არსებობდეს დედამიწაზე?

ბ) რატომ არის რეალურად უფრო მეტი სასაათო ზონა?

31.7. რით ახსნით ტექსტში მოყვანილ ფაქტს, რომ ძველად სარკინიგზო სადგურებში იმდენი საათი იყო დამონტაჟებული, რამდენი კომპანიის მატარებელიც შედიოდა და ყველა სხვადასხვა დროს უჩვენებდა?

გადასვლა: ტექსტის პირველ გვერდზე; ტექსტის მეორე გვერდზე

➢ *რუკის ანალიზი - დავალება # 32*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

32. (8) ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

32.1. მოსწავლის მიერ ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით შესრულებული რომელი პროფილი შეესაბამება EF მონაკვეთს?









32.2. ჩამოთვლილთაგან, რომელ წერტილში უნდა ვიმყოფებოდეთ, რომ დავინახოთ ხიდი მდ. ხერგაზე?

ა. A ბ. B გ. C დ. D

32.3. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს ხიდისყურის დასახლებიდან მ. ლოდომისი?

ა. 55^0 ბ. 175^0 გ. 225^0 დ. 305^0

32.4. ჩამოთვლილთაგან, რომელი შეესაბამება მ. აბულის სიმაღლეს ზღვის დონიდან?

ა. 165,9 მ. ბ. 175,7 მ. გ. 180,3 მ. დ. 185,1 მ.

32.5. (4) რუკაზე ჰიდროგრაფიული ქსელის გამოსახვაში დაშვებულია ორი შეცდომა. იპოვეთ შეცდომები და ახსენით მათი არსი.


A
B
C
D
E
F
180,7
მ. ლოდომისი
მ. აბული
შავშეთი
ახალდაბა
ხიდისყური
ტბა მარცვალა
მდ. ბერეა
0.7
0.2
0.6
173.1
158.1
167.9
162.3
174.9
156.7
176.1
161.1
180.3
167.1
168.9
165
160
8(12)
15-8
40
10-8
50
8
1.4
167.0
ხ.1მ

რელიეფი



ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
დ) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)



სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი



სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით



სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები

ორმოები

ფლატე (ბექი) (16 სიღრმე მ-ში)

ხრამები და დარტაფები

მცენარეული საფარი და ბრუნტი

წიწვოვანი ტყე



ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე



ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 20-საშუალო სიმაღლე. 0.20-მერქნის საშულო სისქე, 6-ხეებს შორის საშუალო მანძილი



ტყის ვიწრო ზოლები და დაცვითი ტყის ნარგავები (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)



ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფართოფოთლოვანი



ახალი ტყის ნარგავების სიმაღლე 4 მ-მდე (2- ხეების საშუალო სიმაღლე მ-ში)



ა) ქარქცეული ტყე ბ) მეჩხერი ტყე



ა) გაჩეხილი ტყე ბ) გადამწვარი და ძირზემხმარი ხეები

განაჩეხი ტყეში
განაჩეხის სიგანე მ-ში



ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი



ა) მდელოს მცენარეულობა
ბ) ლელქაშის და ლერწმის ტიპის საფარი

ხეხილის ბაღი



ადვილადგასავლელი ჭაობები

საგზაო ქსელი

ერთლიანდაგიანი რკინიგზა
ბაქნები, გზაგასაყარები



მიწაყრილებზე (ა) და ჩაღრმავებებში (ბ) გაყვანილი რკინიგზები (2-სიმაღლე ან სიღრმე მ-ში)

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

გზატკეცილი და ხიდი



გაუმჯობესებული გრუნტის გზები გასწვრივი მცენარეული ნარგავებით

გრუნტის გზები

მინდვრის და ტყის გზები

ზამთრის გზები



ფიჩხფენილი (ჭაობზე გადასასვლელად)

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები

კვარტლები

ცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

არაცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით

ხალთა
33
ჩხავთა

სოფლები 20-დან 1000-მდე სახლების რაოდენობით
33 - სახლების რაოდენობა
სოფლები 20-ზე ნაკლები სახლით

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები

ქარხნები და ფაბრიკები

მოქმედი მადაროები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები
თიხ.- მოპოვებული მასალა 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

ტორფის მოპოვება

ქარის წისქვილები

საფუტკრეები

ანძის ტიპის ნაგებობები

სასაფლაოები

კავშირგაბმულობის ხაზები

ჰიდროგრაფია

მდინარეები, ნაკადულები, ტბები

ჭები

წყაროები

ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები

არყ.	აყის ხე	ქვ	ქვიშის კარიერი
ფიჭ.	ფიჭვი	ნახ	ქვანახშირი
ნაძ.	ნაძვის ხე	თიხ	თიხა
აქ	აგურის ქარხანა	მად.	მადარო